ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №4014237

ნომერი: AR1603365

თარიღი : 25.05.2018

გაცემის თარიღი : 14.06.2018

გაცნობის თარიღი : 21.06.2018

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მეფე მირიანის ქუჩა N39გ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- რევაზ ებრალიძე პ/ნ 01019015988
- გლდანი ნაძალადევი, ცინცაძის II შეს. #5

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 22 ნოემბრის №3692858 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2018 წლის 25 მაისის №AR1603365 განცხადებით მომართეს რევაზ ებრალიძემ და გივი კაპანაძემ, განმცხადებლებმა მოითხოვეს

ამავე სამსახურის 2017 წლის 22 ნოემბრის №3692858 ბრძანებაში ცვლილების შეტანა ტექნიკურ - ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2017 წლის 22 ნოემბრის №3692858 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, სექტორი - საბურთალო, მირიანის მეფის ქუჩა N39 გ, შპს "ევროპული სახლი"-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი N 01.10.08.006.606), განაშენიანების რეგულირების გეგმის საფუძველზე, სექტორი №8-ში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი.
2018 წლის 12 აპრილის №3905624 ბრძანებით გაიცა ქ. თბილისში, სექტორი - საბურთალო, მირიანის მეფის ქუჩა N39 გ, შპს "ევროპული სახლი"-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი N 01.10.08.006.606), შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის საფუძველზე, სექტორ №8-ში, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის საფუძველზე, მშენებლობის ნებართვა და მშენებლობის სანებართვო მოწმობა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2018 წლის 13 აპრილიდან 2020 წლის 13 აპრილის ჩათვლით.
განმცხადებლების განმარტების თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 22 ნოემბრის №3692858 ბრძანებაში არასწორად აისახა ტექნიკურ – ეკონომიკური მაჩვენებლები და შესაბამისად, ითხოვს ცვლილების შეტანას ტექნიკურ – ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით. კერძოდ: საზაფხულო ფართობად 585.3 კვ.მ-ის ნაცვლად 585.1 კვ.მ-ის, ავტოსადგომის ფართობად 1026.4 კვ.მ-ის ნაცვლად 1026.7 კვ.მ-ის, საერთო ფართობად 6513.5 კვ.მ-ის ნაცვლად 6513.6 კვ.მ-ის დაფიქსირებას.
სამსახურმა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი შეცვლილი ტექნიკურ – ეკონომიკური მაჩვენებლები შეადარა შეთანხმებულ საპროექტო გეგმა-ნახაზებს და დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა წარმოდგენილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები ფართობების არასწორი დაჯამების გამო, რაც შემდგომ აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ბრძანებაში.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ ორგანოს.
ამდენად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 22 ნოემბრის №3692858 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 22 ნოემბრის №3692858 ბრძანებაში. კერძოდ საზაფხულო ფართობად დაფიქსირდეს 585,1 კვ.მ, ავტოსადგომის ფართობად 1026,7 კვ.მ, საერთო ფართობად 6513.6 კვ.მ.
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 22 ნოემბრის №3692858 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 22 ნოემბრის №3692858 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის. ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.